

Makale Türü/Article Type: Araştırma Makalesi/Research Article

## ქართული ზმნის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დუზჯეს უნივერსიტეტში

Shorena LOMAIA<sup>1</sup>

### აბსტრაქტი

ქართული ზმნის სწავლების საკითხი პრობლემური სფეროა, როგორც მშობლიურ ასევე ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას. არსებობს რიგი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო თუ პროგრამა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების თვალსაზრისით, სადაც მოცემულია ქართული ზმნის სწავლების გამარტივებული ხერხებიც. მთლად გამარტივებულადაც ვერ(ც) შევასწავლით ქართულ ზმნას ისე, როგორც ეს ზემოთ ხსენებულ სასწავლო რესურსებშია წარმოდგენილი. პირიქით, პრაქტიკაში ზოგჯერ დედუქციურ მეთოდსაც წარმატებით ვიყენებთ. სინამდვილეში, მშობლიური ენა თურქული სტუდენტებისათვის უფრო მისაღები და შედარებით ადვილად გასაგები მეთოდოლოგიური გზა ლიტერატურით სარგებლობა და მასწავლებლის ქართული გრამატიკის სწავლებაში მიღებული გამოცდილება იყოს. ჩვენს სასწავლო პროგრამაში პირველივე კურსიდან მეტყველება- მოსმენისა და წერა-კითხვის პარალელურად ისწავლება ქართული ენის გრამატიკის საკითხები. რა თქმა უნდა, იმ დოზით, რაც შეიძლება შეითვისოს სტუდენტმა ქართული ანბანის შესწავლის პარალელურად მეტყველების ნაწილების ზოგადი მიმოხილვა. პირველ და მეორე კურსზე ქართული ენის გრამატიკის ძირითადი მასალის გაგება-გააზრების შემდეგ, მესამე კურსზე ცალკე მორფოლოგიის ლექცია იკითხება. ეს კურსი სრულად ეთმობა ზმნის შესწავლას. მომდევნო სემესტრის სინტაქსის პროგრამაც ზმნის სწავლებით ერწყმის დაწყებულ მორფოლოგიის კურსს. ასეთი მცდელობით საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტს უყალიბდება ქართულ ზმნაზე ცოდნა-ინფორმაცია. მას შეუძლია ზმნის რამდენიმე კატეგორიის დადგენა. ესენია: ზმნის პირი, რიცხვი, დრო, გარდამავლობა-გარდაუვლობა. რიგ შემთხვევაში ესმით ზმნისწინის ფუნქციები. გვარისა და ქცევის კატეგორიებზე ინფორმაციას პრაქტიკული სავაჯიშოების სახით ვაწვდით, თეორიის წესების დაზეპირების გარეშე. განიხილება ზმნის პირის, რიცხვის ზოგადი პირიანობასთან დაკავშირებული საკითხები და ყურადღება გამახვილებილი იქნება ქართული ზმნის სწავლებისას წამოჭრილ ზოგი ტიპის სირთულესა თუ დაბრკოლებებზე. დიდი გერმანელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი წერდა: „ქართული ზმნა მეტად რთულია; ვინც სახელი იცის, მან თითქმის არაფერი არ იცის, ხოლო, ვინც ზმნა იცის, მან თითქმის ენა იცის, ზმნა სულია ენისა“. ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ რომ ქართული ზმნის მრავალფეროვანი ბუნება და მისი დასწავლის პროცესი, გამოსაყენებელი მეთოდების მდაკვირვებითა და გამოცდილების დაგროვებით, სხვადასხვა მიდგომების დახვეწით შესაძლებელია უფრო გავამარტივოდ და შედეგზე ორიენტირებული გავხადოთ.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ზმნა, პირიანობა, რიცხვი, სწავლა, სწავლება.

<sup>1</sup> Doç. Dr., Düzce Üniversitesi, Fen-Edebiyat Fakültesi, Kafkas Dilleri ve Kültürü Bölümü, Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı, Düzce/TÜRKİYE, e-posta: [shorenalomaia@duzce.edu.tr](mailto:shorenalomaia@duzce.edu.tr) [shorenalomaia@gmail.com](mailto:shorenalomaia@gmail.com), ORCID: 0000-0003-2056-5490.

**Bu Yavına Atıfta Bulunmak İçin/Cite as:** Lomaia, Sh. (2024). ქართული ზმნის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დუზჯეს უნივერსიტეტში / Düzce Üniversitesi'nde Gürcüce Fiillerin Öğretimine Dair Bazı Hususlar. *Düzce Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi*, 14(Özel Sayı), 34-48.

## DÜZCE ÜNİVERSİTESİ'NDE GÜRCÜCE FİİLLERİN ÖĞRETİMİNE DAİR BAZI HUSUSLAR

### Öz

Gürcüce fiillerin öğretilmesi konusu, hem ana dili konuşanlar için hem de yabancı dil olarak Gürcüce öğrenenler için sorunlu bir alandır. Bugün yabancı bir dil olarak Gürcüce öğretilmesi hususunda çok sayıda metodolojik kılavuz veya ilgili program bulunmaktadır. Bu materyallerde Gürcüce fiillerin öğretilmesinin basitleştirilmiş yolları da verilmektedir. Bununla birlikte tamamen basitleştirilmiş bir şekilde bile olsa, yukarıda belirtilen eğitim kaynaklarında sunulduğu şekliyle Gürcüce fiili öğretmek mümkün olamamakta, bazen tündengelim yöntemine başvurmak gerekmektedir. Nitekim ana dili Türkçe olan öğrenciler için daha kabul edilebilir ve anlaşılması nispeten kolay olan uygun metodolojik yöntem literatüre başvurmak ve öğretmenin Gürcüce dil bilgisi öğretimindeki tecrübesi olabilmektedir. Düzce Üniversitesi'ndeki mevcut müfredatta konuşma, dinleme ve yazma ilk dersten itibaren okuma-yazmaya paralel olarak öğretilmekte, Gürcü dilinin gramer konuları öğrencinin Gürcü alfabesini öğrenirken aynı zamanda öğrenebileceği seviyede verilmektedir. Birinci ve ikinci yılda Gürcü dili gramerinin temel konuları anlaşıldıktan sonra üçüncü yılda ayrıca morfoloji dersi okutulmaktadır. Tamamen fiillerin incelenmesine ayrılmış olan bu dersten sonraki dönemde öğretilen sözdizimi programı ile fiilin öğretilmesi şekil bilgisi dersiyle birleştirilmiş olmaktadır. Bu şekilde lisans programındaki öğrenci Gürcüce fiil hakkında bir fikir geliştirir, birkaç fiil kategorisini tanımlayabilir. Bunlar fiilin şahıs ekleri, sayı, zaman, geçişlilik ve geçişsizlik. Bazı durumlarda fiilin ön eklerinin işlevlerini anlar. Böylece teorik kuralların ezberlenmesine gerek kalmadan çatı ve davranış kategorilerine ilişkin pratik bilgiler üzerine uygulamalı alıştırmalar verilmiş olur. Genel olarak fiilin öznesi, sayısı ve kişiliği ile ilgili konular ele alınmış ve Gürcüce fiil öğretiminde ortaya çıkan bazı zorluklara ve engellere odaklanılmış olur. Büyük Alman dilbilimci Hugo Schuchardt'ın da yaptığı: "Gürcüce fiil çok zordur; ismi bilen neredeyse hiçbir şey bilmez, fiili bilen ise neredeyse dili bilir, fiil dilin ruhudur." tespitten hareketle Gürcüce fiilin çeşitliliğini ve öğrenme sürecini, daha fazla gözlem ve deneyimle geliştirmek, farklı yaklaşımlarla öğretimi daha kolay ve sonuç odaklı hale getirmek mümkündür.

**Anahtar Kelimeler:** Gürcüce fiil, Fiil şahısları, Sayı, Öğrenme, Öğretme.

## ქართული ზმნის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დუზჯეს უნივერსიტეტში

ქართული ზმნის სწავლება ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია როგორც მშობლიურის, ასევე ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას. არსებობს არაერთი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო თუ პროგრამა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების თვალსაზრისით, სადაც მოცემულია ქართული ზმნის სწავლების გამარტივებული ხერხებიც. ჩვენ სასწავლო პროცესში აქტიურად ვიყენებთ აკადემიურ გამოცემებს – სახელმძღვანელოებსა და ინტერნეტრესურსებს ([www.geofl.ge](http://www.geofl.ge); [www.ena.ge](http://www.ena.ge); არაბული, 2012).

სათანადო მეთოდოლოგიურმა ლიტერატურამ, ასევე, ჩვენმა რამდენიმეწლიანმა გამოცდილებამ ქართული ენის გრამატიკის სწავლების საქმეში ზოგ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვა გაგვიჩინა - თურქულენოვანი სტუდენტებისთვის უფრო მისაღები და შედარებით იოლი. ძალიან გამარტივებულადაც ვერ(ც) შევასწავლით ქართულ ზმნას ისე, როგორც ეს ზემოთ ხსენებულ სასწავლო რესურსებშია წარმოდგენილი. პირიქით, პრაქტიკაში ზოგჯერ დედუქციურ მეთოდსაც წარმატებით ვიყენებთ. ზმნის შესწავლის სხვადასხვა თეორიებიდან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყალიბების გაცნობა. ჩვენ ვიყენებთ პარადიგმებს შერეულად, ვალენტობის გვერდის ავლით (ფუტკარაძე, 2006).

ჩვენს სასწავლო პროგრამაში პირველივე კურსიდან მეტყველება-მოსმენისა და წერა-კითხვის პარალელურად ისწავლება ქართული ენის გრამატიკის საკითხები. რა თქმა უნდა, იმ დოზით, რაც შეიძლება შეითვისოს სტუდენტმა ქართული ანბანის შესწავლის პარალელურად (მეტყველების ნაწილების ზოგადი მიმოხილვა...). პირველ და მეორე კურსზე ქართული ენის გრამატიკის ძირითადი მასალის გაგება-გააზრების შემდეგ, მესამე კურსზე ცალკე მორფოლოგიის სასწავლო კურსი იკითხება, რომელიც მთლიანად ზმნის შესწავლას ემსახურება. მომდევნო სემესტრში სინტაქსის სასწავლო კურსიც ზმნის სწავლებით ერწყმის მორფოლოგიის კურსს. ამგვარი მეთოდით / საშუალებით საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ქართული ზმნის კატეგორიებზე ცოდნას /ინფორმაციას. მას შეუძლია ზმნის რამდენიმე კატეგორიის დადგენა. ესენია: ზმნის პირი, რიცხვი, დრო, გარდამავლობა-გარდაუვალობა. იციან თემის ნიშნები, რიგ შემთხვევაში ესმით ზმნისწინის ფუნქციები. გვარისა და ქცევის კატეგორიებზე ინფორმაციას პრაქტიკული სავარჯიშოების სახით ვაწვდით, თეორიული წესების დაზეპირების გარეშე. შემდგომი ეტაპი არის ზმნის უღლების – სერიებისა და მწკრივების სწავლება. ამ საკითხების გააზრება-შესწავლის შემდეგ სტუდენტთა ცოდნის თვალსაწიერი უფრო ფართოვდება და ქართული ზმნის ლაბირინთებში თამამად ცდილობენ შემოსვლას. რამდენიმეწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მწკრივების მიხედვით ყველაზე მეტად უადვილდება (მარტივად რომ ვთქვათ) თურქულენოვან სტუდენტს ზმნის სტრუქტურისა და შინაარსის გაგება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმეს აიოლებს მწკრივის ფორმებისთვის კითხვის დასმის მეთოდი (ადვილად იმახსოვრებენ, შეიძლება ითქვას, მექანიკურად). მაგალითად,

რას ვშვრები? – ვწერ; რას ვშვრებოდი? – ვწერდი; რას ვშვრებოდე? – ვწერდე? რას ვიზამ? – დავწერ; რას ვიზამდი? – დავწერდი; რას ვიზამდე? – დავწერდე; რა ვქენი? – დავწერე; რა ვქნა? – დავწერო; რა მიქნია? – დამიწერია; რა მექნა? – დამეწერა; რა მექნას? – დამეწეროს. ამგვარად აგებული ზმნის პარადიგმა, ჩვენი დაკვირვებით, უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია. ვფიქრობთ, ეს არის ერთ-ერთი გასაღები ქართული ზმნის სისტემაში შეღწევისა. აღნიშნულ მეთოდს მშობლიური ენის სწავლებისას იყენებდა ცნობილი გრამატიკოსი და პრაქტიკოსი მასწავლებელი სილოვან ხუნდაძე, რომელმაც ქართული ზმნის ფორმები - მწკრივები დროის მიხედვით დააჯგუფა და თითოეულ მწკრივს შესაბამისი კითხვა მიუსადაგა (ხუნდაძე 1907: 16-19). კითხვის დასმის მეთოდს ჩვენც აქტიურად ვიყენებთ სტუდენტებთან მუშაობისას.

წარმოდგენილ კვლევაში კი თადარიგს დავიჭერთ, უპირველესად, ქართული ზმნის პირიანობის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სერიებისა და მწკრივების შესწავლამდე აუცილებელია უცხოელ სტუდენტებს გავააზრებინოთ ქართული ზმნის პირი. პირის კატეგორია უშუალოდ არის დაკავშირებული რიცხვის კატეგორიასთან.

ცნობილია, რომ ქართული ზმნა პოლიპერსონალურია. მაშინ, როცა უცხო ენების ზმნა ერთპირიანია (ზმნის ფორმაში მხოლოდ ერთი პირის – სუბიექტის ნიშანი აისახება). ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიც, ორპირიანიც და სამპირიანიც (გამოყოფენ ასევე ოთხპირიან ზმნებსაც) ზმნის ფორმაში სუბიექტური და ობიექტური პირი შეიძლება ერთად აისახოს. ამიტომაც ზმნა იცვლება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით. შეწყობის მხრივაც და ობიექტური პირების შეწყობითაც. მაგალითად, **ვწერ, ვაწერ, ვიწერ, ვუწერ...** და **მწერ, მაწერ, მიწერ...** პირველ შემთხვევაში გვექნება სუბიექტური წყობა, მეორე შემთხვევაში – ობიექტური. პირთა კომბინაციების მიხედვით დაჯგუფებისას 18 ფორმა გვექნება, სხვა უცხო ენებში კი – 6 ფორმა.

ამიტომაც ქართული ზმნა პირთა მორფოლოგიური გამოხატვის კუთხით ერთგვარ სირთულეებს ქმნის.

„ქართულ ზმნას აქვს სხვა თავისებურებებიც. მაგალითად, ქცევა და კონტაქტი მხოლოდ ქართული ზმნებისთვის არის დამახასიათებელი.

აგრეთვე თავისებური და საინტერესოა ქართული ზმნა რიცხვის მიხედვით. ზმნის პირისა და რიცხვის კარგი ცოდნა სხვა კატეგორიების შესასწავლად მყარი საფუძველია“ (სალია, ლომია, ჩელები, 2021).

ზმნის პირი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც „ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უზნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა“ (შანიძე: 1930).

ქართული ზმნის პირიანობა რომ გავიგოთ, ამისათვის უნდა დავახასიათოთ სამი ნიშანი:

1. პირის რომელობა
2. პირის როგორობა
3. პირის რაოდენობა

საინტერესო ის ფაქტი, რომ ქართული ზმნის ფორმა ერთდროულად გვიქმნის წარმოდგენას სამივე მახასიათებელზე. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

**პირის რომელობა** გამოხატავს, თუ რომელი პირია წარმოდგენილი ზმნის ფორმაში: **მოუბარი** ანუ პირველი პირია, თუ **თანამოსაუბრე** ანუ მეორე პირი, ან კიდევ ის (ვინც ან რაც) არ არის არც მოუბარი და არც თანამოსაუბრე, არამედ **სხვაა, მესამე პირია**.

პირველი, რასაც ზმნის ახსნისას ვაკეთებთ, არის ის, რომ ვარკვევთ, რომელი პირია, – მოუბარია თუ თანამოუბარი, ან არც თანამოუბარია და არც მოუბარი, არამედ არის სხვა, მესამე პირი. შესაბამისად გამოიყოფა 3 პირი:

**I პირი – მოუბარი** = „თავის თავს მე-ს ეძახის“ (შანიძე 1930): **მე** – მხოლობითში; **ჩვენ** – მრავლობითში.

**II პირი-** – **თანამოსაუბრე** (ანუ ის, ვისაც ესაუბრებიან): **შენ** – მხოლობითში; **თქვენ** – მრავლობითში;

**III პირი** – არ არის არც „მე“ და არც „შენ“, არამედ არის ის **იგი** – მხოლობითში; ისინი იგინი – მრავლობითში / ასევე: **მან, მას, მათ**.

**მხოლობითი:** მე, შენ, ის (იგი), მან, მას

**მრავლობითი:** ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), მათ

მრავლობითობის შემთხვევაში განსხვავებულია I და II-III პირების მრავლობითობა:

ჩვენ – მე + შენ (ან თქვენ)

მე + შენ (ან ისინი)

მე + შენ (ან თქვენ), ის (ან ისინი).

პირის როგორც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაზღვრავს, ზმნის პირი მოქმედია – სუბიექტი (S)<sup>2</sup> თუ სამოქმედო – ობიექტი (O) / სუბიექტის მოქმედება მისკენ არის მიმართული, მაგრამ მოქმედი არ არის. სუბიექტი ყველა ტიპის ზმნაში არის წარმოდგენილი. უცხოელი სტუდენტებისთვის განსაკუთრებით რთული აღსაქმელია ობიექტის გრამატიკული გაგება, რადგანაც როგორც ევროპულ ენებში, თურქულშიც (ასევე, რუსულშიც) არ არის წარმოდგენილი ობიექტი, ის არ აღინიშნება ზმნის ფორმაში. ქართულში ორგვარი ობიექტი გამოიყოფა:

1. პირდაპირი (პ. – O)
2. ირიბი (ირ. – O)

პირდაპირია ობიექტი, რომელზეც პირდაპირ, უშუალოდ გადადის ზმნის მოქმედება. მაგ:

აშენებს ის მას (სახლს – სახლზე გადადის მოქმედება)

ხატავს ის მას (ყვავილს – აქ კი – ყვავილზე).

ირიბია ობიექტი, რომელზეც უშუალოდ არ გადადის მოქმედება, ირიბად ეხება მას. მაგ:

უშენებს ის მას მას (მამა შვილს სახლს)

უხატავს ის მას მას (დედა შვილს ყვავილს)

შვილს ორივე წინადადებაში არის ირიბი ობიექტი.

გრამატიკულად პირდაპირი ობიექტი ბრუნვაცვალებადია. სერიებისა და მწკრივების მიხედვით იგი ან სახელობით ბრუნვაში დგას, ან მიცემითში. პირველ სერიაში ის დგას მიცემით ბრუნვაში, მეორე სერიაში კი ის სახელობით ბრუნვაშია.

ზემოთ მოხმობილ მაგალითებში სახელს და ყვავილს პირდაპირი ობიექტებია. საიდან ვასკვნით? ზმნის ორივე ფორმა წარმოდგენილია აწმყოს მწკრივში ანუ პირველ სერიაში; მეორე სერიაში – წარსულში. კითხვაზე: რა ქნა? მამამ შვილს სახლი აუშენა და დედამ შვილს ყვავილი დაუხატა. სახლი და ყვავილი სიტყვების ბრუნვა შეიცვალა, ამიტომაც ისინი არის პირდაპირი ობიექტი.

ირიბი ობიექტი ბრუნვაცვლელი ობიექტია. ის ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას. იმავე წინადადებაში, როგორც ვთქვით, სიტყვაფორმა შვილს ბრუნვა არ შეეცვალა, ამიტომაც არის ის ირიბი ობიექტი (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

<sup>2</sup> სუბიექტისა და ობიექტის ლათინური ასოებით (S, O) აღნიშვნა შემოიღო ქართული გრამატიკის ფუძემდებელმა პროფ. აკაკი შანიძემ.

ზმნის პირის რომლობისა და როგორობის შემდეგ ვარკვევთ პირის რაოდენობას, თუ რამდენი პირია წარმოდგენილი ზმნის ფორმაში.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართული ზმნა მრავალპირიანია. ევროპულ ენებშიც და თურქულშიც ზმნის მხოლოდ ერთი, მორფოლოგიური სუბიექტია წარმოდგენილი. ქართულ ზმნაში კი სუბიექტური პირის მსგავსად შეიძლება აისახოს ობიექტური პირიც.

რას ნიშნავს, რომ ქართული ზმნა მრავალპირიანია?

ეს იმას ნიშნავს, რომ ზმნაში ერთდროულად შეიძლება აისახოს მორფოლოგიურად ერთზე მეტი პირი.

როგორ დავადგინოთ, როგორ განვსაღვროთ პირიანობა?

ზმნა იმდენპირიანია, რამდენ პირის ნაცვალსახელს შეიწყობს (უთანდებულოდ). სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენი პირის შესახებ გვამლევს ინფორმაციას ზმნური ფორმა.

ზის ის (ერთ პირზეა საუბარი). ასეთივე ფორმებია: დგას, დევს, გდია, წევს, ხტუნაობს/ ხტის.

წერს ის მას (ორ პირზეა საუბარი) ხატავს, კერავს, ჭამს, ივარცხნის, სვამს.

უწერს ის მას მას (სამ პირზეა საუბარი): უხატავს უკერავს უჭამს/ უვარცხნის უსვამს.

არის ოთხი პირის შემცველი ზმნებიც, მაგალითად:

მიჭმის შენ მე მას ის.

ქართულში პირიანობა არის უნარი, როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის პირის ნიშნები გააჩინოს ზმნის ფორმაში. ქართული ზმნის ძირითადი თავისებურებაც სწორედ ეს არის. „ზმნაში ერთდროულად აისახოს როგორც სუბიექტური პირი, ისე ობიექტური პირი“ (გოგოლაშვილი, არაბული, 2011).

ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში გვხვდება პირიანობის ასეთი განსაზღვრებაც: „ზმნა იმდენპირიანად უნდა მივიჩნიოთ, რამდენი პირის შესახებაც გვამლევს ინფორმაციას კონტექსტის გარეშე“ (გოგოლაშვილი, არაბული, 2011) ქართულ ენაში, განსხვავებით ინდოევროპული ენებისაგან, მარკირებულია ე.წ. პირმიმართი აქტანტები (პირები) როგორც სუბიექტის ფუნქციით, ისე ობიექტის სემანტიკურ-ლოგიკური ფუნქციით...“ (მელიქიშვილი, 2014).

მაგალითად, დედამ შვილს კაბა შეუკერა.

**შეუკერა მან მას ის** – სამპირიანი ზმნაა, წინადადების კონტექსტის გათვალისწინება საჭირო არ არის.

ტრადიციული გაგება ქართული ზმნის პირიანობისა ესეცაა – კონტექსტის გარეშე პირის რაოდენობის დადგენა (შანიძე 1930; კვაჭაძე 1969; ფეიქრიშვილი 2010...). მაგალითად, ქართულენოვანმა სტუდენტმა / შემსწავლელმა იცის, რომ უწერს, უხატავს, უმზადებს... ტიპის ზმნები სამპირიანია; ან ჰპატრონობს, ემალემა, ეზრდება... ტიპისა – ორპირიანი; თბება, შრება, დგას, ზის... ზმნები კი – ერთპირიანი. მაგრამ რთულია, უცხოენოვან სტუდენტს ამ განმარტებით გავაგებინოთ, ზმნის რამდენპირიან ფორმასთან გვაქვს საქმე. ევროპული და თურქული ზმნები კონტექსტის გარეშე მხოლოდ სუბიექტზე გვიქმნის წარმოდგენას, ობიექტების შესახებ კი ინფორმაციას ზმნური ფორმა ვერ გვაძლევს, ამას კონტექსტი აზუსტებს. უცხოენოვანი სტუდენტებისთვის, ბუნებრივია, ეს საკითხი მთელ რიგ დაბრკოლებებს ქმნის.

ჩვენ იძულებული ვართ შემსწავლელს ზოგი საკითხი, ამ შემთხვევაში უცხოელი სტუდენტებს, დავაზეპირებინოთ, მით უმეტეს, თუ მსგავსი საკითხი მათ მშობლიურ ენაში არ დგას და არც შეიძლება იყოს. მაგალითად, პირდაპირი ობიექტისა და ირიბი ობიექტის გარჩევა, სერიებისა და მწკრივების ყალიბები და სხვ. (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, ვსწავლობთ და ვიაზრებთ, რომ ქართულ ზმნას შეიძლება სუბიექტი (მოქმედი) და ობიექტი (სამოქმედო) შეეწყოს. უფრო მეტიც, ამ შეწყობილ პირებს ზმნაში თავიანთი ნიშნებიც ექნება და ამასთან ერთად დაერთვის რიცხვის ნიშნებიც.

ასეთ ნიშნებს პირის ნიშნები ეწოდება.

სუბიექტური და ობიექტური პირების შესახებ ზემოთ თქმული შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ:

ზმნის ფორმაში უპირველესად სუბიექტის ნიშანი ვლინდება.

ის პირი, რომელიც მოქმედია ანუ ზმნით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს, სუბიექტური პირი ეწოდება. მაგ., ის აშენებს სახლს; ის ხატავს ყვავილს; ის წერს დავალებას. ის ანუ მესამე პირი სუბიექტურია, რადგან მოქმედია. ობიექტური პირი არ არის მოქმედი. მაგ., გიორგი წერს დავალებას. გიორგი ანუ ის სუბიექტია, რადგან მოქმედია, ხოლო დავალებას ობიექტია, რადგან უმოქმედოა.

ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც პირისა და რიცხვის ნიშნები დაერთვის, ფუძე ეწოდება.

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები პირველსა და მეორე პირში თავსართებია, მესამე პირში კი – ბოლოსართები.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნების ცხრილს შესაბამისი მაგალითებით.



**სუბიექტური პირი**

პირი	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I	ვ -----	ვ ----- თ
II	ხ <sup>3</sup> -----	ხ ----- თ
III	----- ს, ა, ო	----- ნ, ან, ენ, ნენ, ეს
I	ვ-არ ვ-წერ გა-ვ-იგე და-ვ-ხატე	ვ-ართ ვ-წერთ გა-ვ-იგეთ და-ვ-ხატეთ
II	ხ-არ წერ გაიგე დახატე	ხ-ართ წერთ გაიგეთ დახატეთ *
III	არი-ს წერ-ს გაიგ-ო დახატ-ა	არი-ან წერ-ენ გაიგო-ნ დახატ-ეს

დაწერდ-ნენ

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნების დასასწავლი პრაქტიკული სავარჯიშოების ნიმუშები:

ა) წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები; ამოიწერეთ ზმნები, შეუწყვეთ პირები და გამოყავით სუბიექტური პირის ნიშნები.

ნიმუში:

რექტორი ხვდება სტუდენტებს.

ხვდება ის მათ; ხვდებ-ა; ა- S3 პირის ნიშანი. \*

მეგობარი ძალს ძეხვს აჭმევს.

ველზე ყვავილები გაიშალა.

დედამ შვილი გაამხნევა. ნუ ტირი, შვილო, ხვალ წაგიყვან სასეირნოდ.

პატარა ბიჭმა სათამაშო დაშალა.

გამყიდველმა საჩუქარი ლამაზად შეახვია.

სტუმარი სახლში ერთ კვირას დარჩება.

ნელ-ნელა ვეგუები უცხო ქვეყნის კლიმატს.

მეთევზეს თევზი ხელიდან გაუსხლტა.

<sup>3</sup> \*ხ\* - ძველ ქართულში II სუბიექტურ პირში იხმარებოდა პირის ნიშნები: ხ, ჰ, ს. თანამედროვე ქართულში ეს ნიშნები არ იხმარება. მათგან დარჩა ხ- თავსართი მხოლოდ ამ ზმნებში: ხ-არ; მი-ხ-ვალ; მო-ხ-ვალ; თანამედროვე ქართულში II სუბიექტური პირის ფორმები უნიშნოა, უპრეფიქსოა.

ძალიან ლამაზი დილა გათენდა.

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი ზმნები ჩასვით მრავლობითის სამივე ფორმაში: აფუჭებს, ბანაობს, თვლის, თამაშობს...ეხმარება, ემალება, გზავნის...

ნიმუში: აფუჭებს.

ვ-აფუჭებ-თ

აფუჭებ-თ

აფუჭებ-ენ.

გ) ქვემოთ მოცემულ ზმნებს შეუწყვეთ პირები და გამოყავით პირის ნიშნები მხოლოდობითა და მრავლობითში:

ბეჭდავდნენ, დადგეს, დაწერეს, კითხულობენ, სწავლობს, ცხოვრობდა, ვბეჭდავთ, ასხამთ...

ნიმუში: დაწერე-ს მათ ის

ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები; პირის ნიშანი

პირდაპირობიექტური პირი ნიშანი ირიბობიექტური პირი

მხ. რიცხვი

მხ. რიცხვი

I მ- მ-ხატავს ის მე

მ- შე-მ-ხვდა; მო-მ-დევს ის მე

II გ გ-ხატავს ის შენ

გ- შე-გ-ხვდა; მო-გ-დევს ის შენ

III --- -----

ჰ-, ს- შე-ჰ-ხვდა; მო-ს-დევს ის მას

მრ. რიცხვი

მრ. რიცხვი

I გვ- გვ-ხატავს ის ჩვენ

გვ- შე-გვ-ხვდა; მო-გვ-დევს ის ჩვენ

II გ--თ გ -ხატავთ ის თქვენ

გ--თ შე-გ-ხვდა-თ; მო-გ-დევ-თ ის თქვენ

III --- -----

ჰ/ს--თ, შე-ჰ-ხვდა-თ; მო-ს-დევთ ის მათ

ვნახოთ ეს ნიშნები ზმნის ფორმებში.

მ-ხატავ-ს ის მე

გ-ხატავ-ს ის შენ

ხატავ-ს ის მას

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ზმნის ფორმაში III სუბიექტური პირის ნიშანთან ერთად წარმოდგენილია ობიექტური პირის ნიშნები – I და II პირისთვის, III ობიექტურ პირს კი ნიშანი არ აქვს.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში სამივე პირში ხაზგასმულია ობიექტური პირის ნიშნები:

მ-პირდებ-ა	ის მე მას	მ-წერს
გ-პირდებ-ა	ის შენ მას	მ-წერდა
ჰ-პირდებ-ა	ის მას მას	ს-წერდა

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს **ბრუნვაცვალებად ობიექტთან III პირში**, რომელსაც ეწოდება **პირდაპირი ობიექტი**. ე. ი. **პირდაპირი ობიექტი არის ბრუნვაცვალებადი**.

მეორე შემთხვევაში კი ობიექტს მესამე პირშიც აქვს ნიშანი (ჰ- ან ს-). ზოგჯერ ეს ნიშანი იკარგება მეზობელი ბგერების გავლენით (მაგალითად, უპირებს ის მას მას. აქ უნდა იყოს ჰ-უპირებს. იქიდან გამომდინარე, რომ ჰ ქართულში ფონეტიკურად სუსტი ბგერაა, ხმოვნებთან ის იკარგება). მაგრამ უნიშნობაც ნიშანია და ის ნულოვანი ალომორფით აღინიშნება.

ჰ-პატრონობს, მაგრამ – უპატრონა.

ჰ-კბენს – უკბინა.

აქ ეს ობიექტი ბრუნვას არ იცვლის და მას ვუწოდებთ **ირიბ ობიექტს**. ე.ი. **ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელია** (იხ. ზემოთ).

დასაწყისში ვახსენეთ ქართული ზმნის სუბიექტური და ობიექტური წყობა. პირის ნიშნების სწავლებისას ეს ერთ-ერთი საკითხია, რასაც მაშინვე იგებენ: **ვ-ინის** და **მ-ანის** რიგის ზმნები – ასე უფრო მარტივად ესახებათ. ე.ი. სუბიექტური წყობა – ვ-ინის რიგი, ობიექტური წყობა – მ-ანის რიგი. შესაბამისად, ზმნებს თუ სუბიექტური პირების მიხედვით დავაწყობთ, გვექნება სუბიექტური წყობა:

ვ-ამზადებ – ამზადებ – ამზადებს / ვ-ამზადებთ – ამზადებთ – ამზადებენ.

ხოლო თუ ობიექტური პირების მიხედვით დავალაგებთ, მივიღებთ ობიექტურ წყობას:

მ-ამზადებს – გ-ამზადებს – ამზადებს/გვ-ამზადებს – გ-ამზადებთ – ამზადებენ.

**თეორიის განსამტკიცებელი სავარჯიშოების ნიმუში:**

ა) ვინის რიგის ზმნები გადაიყვანეთ მანის რიგში და ჩასვით სქემაში შესაფერისი პირის ფორმით:

ველოდები	ვაბარებ	ვკბენ	ვწყურებ
----------	---------	-------	---------

1. მ-ელოდება
2. გ-ელოდება
3. ელოდება

**ბ) სავარჯიშო ობიექტური პირების შეწყობა და პირის ნიშნების გამოყოფა:**

**მოცემულ ზმნებს შეუწყვეთ პირები და გამოყავით ობიექტური პირის ნიშნები:**

მელოდება

ჰგავს

სწვდება

მეკითხება

გქვია

**ნიშნები: მ-ელოდება-ა (ის მე). ის - სუბიექტია (S).**

ყველაზე დიდი ძალისხმევა გვჭირდება ირიბი და პირდაპირი ობიექტების გარჩევის სწავლებისას. აქ იზეპირებენ წესს: რომ გავიგოთ, ზმნასთან შეწყობილი ობიექტური პირებიდან (თუ ორივე მიცემით ბრუნვაშია) რომელია პირდაპირი (პო) და რომელი ირიბი(ირო), ზმნას ვუსვამთ კითხვას: რა ვქენი? (რა ქენი? რა ქნა?). თუ ბრუნვა შეიცვალა და დადგა სახელობითში, პირდაპირი ობიექტი იქნება, თუ არ შეიცვალა ბრუნვა და დარჩა მიცემით ბრუნვაში, მაშინ იქნება ირიბი ობიექტი.

ველოდება მე **დედას** / ველოდება მე **მას**.

კითხვაზე: რა ვქენი? პასუხი იქნება: **დაველოდე მე დედას** / **დაველოდე მე მას**.

**დედას** სიტყვა არ შეიცვალა, შესაბამისად, ის არის ირიბი ობიექტი.

**ბავშვი თამაშობს ბურთს.** ამ წინადადებაში **ბავშვი** სუბიექტია, მისი ნიშანი ზმნაში არის -ს სუფიქსი, **ბურთს** არის პირდაპირი ობიექტი და **მას** არა აქვს ზმნაში ნიშანი. საიდან დავასკვნით? დავუსვით კითხვა: რა ქნა? ანუ გადავიყვანეთ წარსულ დროში.

თამაშობს ის **მას (ბურთს)** / ითამაშა მან ის **(ბურთი)**.

სირთულეები თავს იჩენს აგრეთვე **ობიექტის მრავლობითობის** სწავლებისას.

**ზმნასთან შეწყობილი სამივე ობიექტური პირი, ბრუნვაცვალადაც და ბრუნვაუცვლელიც, შეიძლება იდგეს მრავლობით რიცხვში.**

I ობიექტური პირის მ- ნიშანი (მე მ- აქებ-ს) მრავლობითში იქნება **გვ-**

**ჩვენ გვ-აქებ-ს (ის) გვ- ელოდებ-ა (ის)**

II ობიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად შესაბამის ფორმას სუფიქსად დაერთვის -თ:

**შენ გაქებს (ის) გ-ელოდებ-ა (ის)**

**თქვენ გ-აქებ-თ (ის) გ-ელოდება-თ (ის)**

III პირში ბრუნვაცვალებადი ობიექტის (პ0) მრავლობითობა არ აღინიშნება (რჩება მხოლოდითის ფორმა), ხოლო ბრუნვაცვლელი ობიექტის (ირ0) სიმრავლის აღსანიშნავად უმეტეს შემთხვევაში ზმნას დაერთვის ბოლოსართი -თ (II პირის მსგავსად):

**მათ აქებ-ს (ის) მათ ახვევია-თ (ის)**

სავარჯიშოების ნიმუშები:

ქვემოთ ჩამოთვლილ ზმნებს შეუწყვეთ პირები და გამოყავით ობიექტური პირის ნიშნები მრავლობითში:

გეხმარებათ

სვამს

ჰპატრონობს

გვჭირს

გვიყურებს

გვატყუებს

გვარცხნით

**ნიმუში: გ-ეხმარება-თ ის თქვენ.**

დასაზეპირებლად ურთულესია პირის ნიშანთა მართლწერა. მაგრამ სალიტერატურო ენის გრამატიკის სწავლება ორთოგრაფიის წესების გარეშე არ შეიძლება. ქართული სალიტერატურო ენა მკაცრად ნორმირებული ენაა. ამიტომ ვცდილობთ, თავიდანვე არ მოვთხოვოთ წესების დაცვა, სხვა უმთავრესი საკითხების სირთულეებიდან გამომდინარე. გარკვეული საკითხების გავლის შემდეგ თანდათან ვაჩვენებთ სწორად წარმოთქმას და წერას.

**\* თუ ზმნა ვ-თი იწყება და სუბიექტური პირი პირველია, ორი ვ იყრის ერთად თავს. მაგალითად:**

**ვ-ვარჯიშობ; ვ-ვარცხნი, ვ-ვაჭრობ..და სხვ.** პირველი ვ- I სუბიექტური პირის ნიშანია, მეორე ვ კი ფუძეს ეკუთვნის.

\* თუ ზმნის ფუძე ო და უ ხმოვნებით იწყება, I სუბიექტური პირის ნიშანი ვ-აუცილებლად უნდა დაიწეროს:

ვ-ოცნებობ, ვ-უხატავ, ვ-უყურებ...

\* თუ ზმნის ფუძე დ თანხმოვანზე მთავრდება, სუბიექტური III პირის მრავლობით რიცხვში -ნენ სუფიქსი უნდა გამოვიყენოთ:

ხატავ-დ-ნენ (და არა ხატავ-დ-ენ); წერ-დ-ნენ (და არა წერ-დ-ენ)...

ჩვენ განვიხილეთ ზმნის პირის, რიცხვის, ზოგადად პირიანობასთან დაკავშირებული საკითხები და შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ქართული ზმნის სწავლება-სწავლისას წამოჭრილ ზოგი ტიპის სირთულესა თუ დაბრკოლებაზე. რიგ შემთხვევაში სირთულის დასაძლევად ჩვენეული გზა, ხერხი გამოვიყენეთ. დიდი გერმანელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი წერდა: „ქართული ზმნა მეტად რთულია; ვინც სახელი იცის, მან თითქმის არაფერი არ იცის, ხოლო, ვინც ზმნა იცის, მან თითქმის ენა იცის, ზმნა სულია ენისა“. უცხოელი ქართველოლოგის ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ ქართული ზმნის მრავალფეროვან ბუნებას და მისი სწავლება-სწავლის პროცესში ტრადიციულ მეთოდებთან ერთად ახალი, განსხვავებული მიდგომების საჭიროებაზე, რომელიც სასურველ შედეგზე იქნება ორიენტირებული: გაუადვილებს უცხოელს ქართული ენის შესწავლას. ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას, დაკვირვებას თურქულენოვან სტუდენტებთან.

#### გამოყენებული ლიტერატურა

არაბული, ა. (2012). ქართული ენა, მე-7 კლასის სახელმძღვანელო (რვეული), თბილისი.

კვაჭაძე, ლ. (1969). ქართული ენა, ნაწილი 1. თბილისი.

გოგოლაშვილი, გ. არაბული, ა. (2001). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი. 268-277

სალია, მ. ლომია, შ. ჩელები, ფ. (2021). ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია). დუზჯეს უნივერსიტეტი.

ფეიქრიშვილი, ჟ. (2010). ქართული ენის მორფოლოგია. ქუთაის.

ფუტკარაძე, ტ. (2006). – ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისთვის, აწსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII (1), ქუთაისი. 268-277

ფუტკარაძე, ტ. (2006). ქართული ენის ისტორია. ქუთაისი.

8.შანიძე, ა. (1930). ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი.

ხუნდაძე, ს. (1907). ქართული გრამატიკა. ქუთაისი, 1907.

[www.geofl.ge](http://www.geofl.ge) ქართული, უცხო ენა, Georgian, Foreign, Language, Teaching, განათლებისა, სწავლება, მასწავლებლებისათვის.

მელიქიშვილი, დ. (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი .თბილისი.